შუახევის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტები

შუახევის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, განვითარდება ტურიზმის, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროები.

2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მომავალი თაობისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

შუახევის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
2. განათლების ხელშეწყობა;
3. კულტურის, რელიგიის, ტურიზმის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა;
4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი (1): ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00)
პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების კეთილმოწყობა, მოეწყობა ქვეითათ მოსიარულეთათვის სავალი ბილიკები, დასასვენებელი სკვერები და საპიკნიკე ადგილები. რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებას ასევე ტურიზმის განვითარებას. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8423.2	8251.0	8860.0	9472.0

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1540.0	1594.0	2098.0	2202.0
02 02	კომუნალური ინფტასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	900.0	650.0	760.0	820.0
02 03	წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები	2526.0	2690.0	2930.0	3120.0
02 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	3297.2	2917.0	2672.0	2680.0
02 05	სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	160.0	400.0	400.0	650.0

პროგრამა (1.1): საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა:

- სასოფლო გზების მოვლა-შენახვა, დამცავი კედლებისა და ბაგირების მოწყობა.
- ხიდებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- ქვეითად მოსიარულეთა, ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება და შემოვლითი გზის ნაცვლად უახლოესი გზით სარგებლობა.

პროგრამა (1.2): კომუნალური ინფტასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა:

- დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობის შექმნა;
- ქუჩების განათება;
- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
- გზებზე ახალი განათების ქსელის მოწყობა;
- სადღესასწაულო დღეებში დაბასა და თემის ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- განათებული ქუჩები, თემის და სოფლის ცენტრები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- დაბისა და თემის ცენტრებში ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მაწანწალა ცხოველებისგან დაცული მოსახლეობა;

- დაბის ქუჩებსა და სკვერებში, თემის ცენტრებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, დაბისათვის ესთეტიკურად მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო ეპიდემიოლოგიური გარემოს უზრუნველყოფა.

პროგრამა (1.4): წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის აღწერა:

- მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი არხების მოვლა პატრონობა.
- დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვა;
- ქლორირება და ფილტრაცია;
- წყალსადენების მიმდინარე რემონტი;
- თემებში წყლის შემკრები ავზის მშენებლობა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- აღდგენილი და რეაბილიტირებული წყალსადენები;
- დაბისა და სოფლის მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა და უწყვეტი წყალმომარაგება. სასოფლო სამეურნეო სავარგულების მორწყვა და შესაბამისად სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

პროგრამა (1.6): მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის აღწერა:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება;
- სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

პროგრამა (1.5): სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა
(პროგრამული კოდი 02 05)
პროგრამის აღწერა:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია, მოვლა - შენახვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების გამართული ქსელები.

კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	20.0	22.0	24.0	26.0
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	20.0	22.0	24.0	26.0

პროგრამა (1.3): სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები
(პროგრამული კოდი 03 00)
პროგრამის აღწერა:

- სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- დაბისა და თემის ცენტრების ყოველდღიური დასუფთავება;
- ნარჩენების გატანა;
- ზამთრის პერიოდში გზების, ქუჩების, სკვერებისა და ბაღების გაწმენდა თოვლის საფარისაგან;
- პერიოდული დასუფთავება და მოვლა-პატრონობა;
- ცოფის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

პრიორიტეტი (2): განათლების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 04 00)
პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება

საბავშვო ბაღების მშენებლობა-რემონტი, მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები, ინვენტარით უზრუნველყოფა.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 00	განათლების ხელშეწყობა	3455.8	3820.0	5022.0	5623.0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	3436.8	3800.0	5000.0	5600.0
04 02	სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები	19.0	20.0	22.0	23.0

პროგრამა (2.1): სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 04 01)
პროგრამის აღწერა:

- პატარების გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით ბავშვთა ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა;
- ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოვლა-შენახვა;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- რეაბილიტირებული და აშენებული საბავშვო ბაღები;
- მშობლების (მუშა-ხელის) სამუშაო დროის ზრდა;
- ჯანმრთელი და გონებრივად განვითარებული მომავალი თაობა.

პროგრამა (2.2): სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები
(პროგრამული კოდი 04 02)
პროგრამის აღწერა:

- სკოლის მოსწავლეების მგზავრობის ხელშეწყობა;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- გაუმჯობესებული სასწავლო და სამუშაო პირობები.

პრიორიტეტი (3): კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 05 00)
პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის კულტურული და სპორტული განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას, კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული, სკოლისგარეშე განათლებისა და სახელოვნებო დაწესებულებების მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას (რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება), ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისებას.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 00	კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა	2831.3	4500.0	3900.0	4300.0
05 01	სპორტის სფეროს ხელშეწყობა	783.9	2400.0	1600.0	1800.0
05 02	კულტურის, რელიგიის და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	2047.4	2100.0	2300.0	2500.0

პროგრამა (3.1): სპორტის სფეროს ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 05 01)
პროგრამის აღწერა:

- სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, პერიოდულად სპორტული სახეობების მოხედვით წვრთნების ჩატარება.
- ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში მონაწილეობა, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით (თასებით, მედლებით, დიპლომებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით);
- სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში ადგილობრივი მოზარდების მონაწილეობა და გაუმჯობესებული სპორტული შედეგები.

პროგრამა (3.2): კულტურის, რელიგიის და ახალგაზრდობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 05 02)
პროგრამის აღწერა:

- სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- შუახევის კულტურის ცენტრის და მასთან არსებული შემოქმედებითი და სანახაობითი კოლექტივების ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- კულტურის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მოზარდთა სახელოვნებო განათლებით დაინტერესება;
- უძველესი ქართული ფოლკლორის შენარჩუნება;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- კულტურის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ახალგაზრდების ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება;
- სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდები.

პრიორიტეტი (4): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)
პრიორიტეტის აღწერა (სამოქმედო გეგმა):

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვადასხვა სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2829.8	3150.0	3434.0	3794.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	1352.2	1550.0	1734.0	1994.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	1477.6	1600.0	1700.0	1800.0

პროგრამა (4.1): ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
(პროგრამული კოდი 06 01)
პროგრამის აღწერა:

- ოპერაციების და სტაციონიარული მომსახურების თანადაფინანსების დახმარების პროგრამა.
- მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის კვარტალური ფინანსური დახმარება.
- ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციი კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა.
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიის მედ პერსონალთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, სოფლის ექიმამდელი პროგრამის განხორციელება.
- მოწყლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა
- პირველადი ჯანდაცვის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შემსუბუქება და ჯანმრთელობის დაცვა.
- მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ჩატარებული საჭირო ღონისძიებები.
- სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მუნიციპალიტეტის თემების სოფლებისათვის დროული და ეფექტური სასწრაფო-სამედიცინო და ამბულატორიული მომსახურება;
- გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პროგრამა (4.2): მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 02)
პროგრამის აღწერა:

- სოციალურად დაუცველი ფენების ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.
- ოთხ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- უკიდურესად გაჭირვებული ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა;
- ვეტერნების გაზით უზრუნველყოფის და მატერიალური დახმარების პროგრამა.
- 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური სამკურნალო კვების პუროდუქტების შეძენისათვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა.
- დიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის უზრუნველყოფა.
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის სახურავების შეძენა.
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისათვის დახმარების მიზნობრივი პროგრამა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერა, გაჭირვებულ ოჯახებში ხარჯების ნაწილობრივი შემცირება.
- ხანდაზმულთა და ქვეპროგრამის ფარგლებში მოსარგებლე პირთა ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უპატრონო და სოციალურად დაუცველ მიცვალებულთათვის სარიტუალო მომსახურების გაწევა;
- მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უდედმამო ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე